ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

გამწოვი
SB52B, SB52W,
SB60B, SB60W

DEXP

შინაარსი

მოწყობილობის დანიშნულება **3**

უსაფრთხოების ზომები **3**

ტექნიკური მახასიათებლები **4**

დამონტაჟების ინსტრუქცია **5**

მოწყობილობის სქემა 5

მოწყობილობის ზომები 5

დამონტაჟება **6**

მოწყობილობის ექსპლუატაცია **7**

მართვის პანელი 7

მომსახურება და მოვლა **8**

ფილტრის გაწმენდა 8

მუშაობის სიჩქარის შერჩევა **9**

მუშაობის რეჟიმები **9**

ჰაერის გამოტანის რეჟიმი 9

რეცირკულაციის რეჟიმი 9

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა **10**

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალი-

ზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები **11**

დამატებითი ინფორმაცია **12**

ძვირფასო მომხმარებელო!

გმადლობთ ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის.

სასიხარულოდ გთავაზობთ ნაწარმსა და მოწყობილობებს, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს თქვენი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე რეკომენდაციებს პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლისთვის. იზრუნეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენარჩუნებაზე და გამოიყენეთ იგი როგორც საცნობარო მასალა ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციისას.

მოწყობილობის დანიშნულება

სამზარეულოს გამწოვი — მოწყობილობა, რომელიც წმენდს ჰაერს კვამლის, წვის პროდუქტების, ორთქლის, სუნებისა და სხვა არასასურველი მინარევებისგან, რომლებიც წარმოიქმნება პროდუქტების თერმული დამუშავებისას.

უსაფრთხოების ზომები

- მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მოწყობილობის არასწორი დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის შედეგად მიყენებულ ზიანზე.
- მინიმალური მანძილი გამწოვსა და ელექტრულ საცხობ ზედაპირს შორის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600 მმ-ს, ხოლო გაზის ან კომბინირებულ საცხობ ზედაპირთან — არანაკლებ 700 მმ-ს.
- დააკავშირეთ გამწოვი გამწოვ არხთან არანაკლებ 120 მმ დიამეტრის მილის საშუალებით. მილის სიგრძე უნდა იყოს მინიმალური.
- გამწოვის დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ ელექტროქსელის პარამეტრები შეესაბამება ტექნიკურ მოთხოვნებს.
- არ გამოიყენოთ გამწოვი წვის პროდუქტების გამოსაყვანად (ბოილერები, ბუხრები და სხვ.).
- არ დააკავშიროთ გამწოვი კვამლგამტან არხებთან, რომლებიც გამოიყენება წვის პროდუქტების გამოსატანად.
- გამწოვის არაელექტრულ ხელსაწყოებთან (მაგალითად, გაზის ქურასთან) ერთად გამოყენებისას უზრუნველყავით ოთახის საკმარისი ვენტილაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული გამომუშავებული აირის უკუტანა. ოთახში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის უშუალო შემოსვლის შესაძლებლობა ქუჩიდან, რაც უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის მიწოდებას.
- თუ კვების შნური დაზიანებულია, იგი უნდა შეიცვალოს ავტორიზებული სერვისცენტრის კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.
- მოცემული მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- მოერიდეთ ღია ცეცხლს გამწოვის ქვეშ. გაზის ქურის გამოყენებისას დაარეგულირეთ ალის სიმაღლე ისე, რომ იგი ეხებოდეს მხოლოდ ჭურჭლის ძირს და არ სცილდებოდეს მის კიდეებს.
- იყავით ფრთხილად ფრიტიურნიცის გამოყენებისას, ვინაიდან გადახურებულმა ზეთმა შეიძლება იფეთქოს.
- არ დაწვათ საკვები ღია ალზე სამზარეულოს გამწოვის ქვეშ.


- ფრთხილად იყავით, ხელმისაწვდომი ნაწილები შეიძლება გაცხელდეს მუშაობის დროს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათზე კონტროლს ახორციელებენ სხვა პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ უსაფრთხოებაზე. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის საშუალება.
- ბავშვებმა არ უნდა განახორციელონ გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება ზედამხედველობის გარეშე.
- მოვლისა და გაწმენდის წინ გამორთეთ მოწყობილობა და გამოაერთეთ იგი ელექტროქსელიდან.
- გაწმინდეთ და შეცვალეთ ფილტრები მითითებული პერიოდის ამოწურვისას, რათა თავიდან იქნას აცილებული ხანძრის რისკი.
- არ შეამოწმოთ ფილტრების მდგომარეობა გამწოვის მუშაობის დროს.
- არ შეეხოთ ნათურას გამწოვის მუშაობის დასრულებისთანავე.
- მოერიდეთ გაზის ქურის ჩართვას ჭურჭლის გარეშე, ვინაიდან ამან შეიძლება დააზიანოს გამწოვის ფილტრები და შექმნას ხანძრის საფრთხე.
- მოცემული მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ტექნიკური მახასიათებლები

მოდელები	SB52B, SB52W	SB60B, SB60W
სავაჭრო ნიშანი	DEXP	
ქსელის პარამეტრები	220–240 ვ, 50 ჰც	
ძრავის მოხმარებული სიმძლავრე	40 ვტ	
საერთო მოხმარებული სიმძლავრე	43 ვტ	
განათება	LED-ნათურა; 3 ვტ x 1	
ჰაერის გამწოვი სიმძლავრე	400 მ^3	
გამწოვი მილის დიამეტრი	120 მმ	
კაბელის სიგრძე	1 მ	
ხმაურის დონე	63 დბ	
დაცვის ხარისხი	IPX0	
დენის დაზიანებისგან დაცვის კლასი	I	
კვების შნურის დამაგრების ტიპი	Y	
გაბარიტები (L x D x H)	520 x 290 x 173 მმ	600 x 290 x 173 მმ
წმინდა წონა	3,7 კგ	4,1 კგ
კომპლექტაცია	გამწოვი, ალუმინის ცხიმის ფილტრი, ექსპლუატაციის სახელმძღვანელო, სამაგრები	


დამონტაჟების ინსტრუქცია

მოწყობილობის სქემა



1. კონტროლის პანელის ღილაკები ნათურით.
2. ალუმინის ფილტრი.
3. მოწყობილობის კორპუსი.

მოწყობილობის ზომები





შენიშვნა: ყველა ზომა მოცემულია მილიმეტრებში.

დამონტაჟება

დამონტაჟებისთვის მომზადება
მოცემული გამწოვი ჩაშენებადი ტიპისაა და მისი დამონტაჟება ხდება სპეციალურ დეკორატიულ კოლოფში (არ შედის მიწოდების კომპლექტში).

- გამწოვი უნდა დამონტაჟდეს სითბოს წყაროდან (ქურა, ღუმელი და სხვ.) არანაკლებ 650 და არაუმეტეს 750 მმ მანძილზე.
- მოამზადეთ ნიშა, სადაც ჩაშენდება გამწოვი.
- გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ნახაზი გამწოვისთვის განკუთვნილი ხვრელის მოსამზადებლად.







A	499/579
B	487/547
C	268
D	200

1. ჯერ დაშალეთ გამწოვი: მოხსენით ფილტრი და დეკორატიული პანელი, გამოხრახნეთ 4 ხრახნი.

2. მიაერთეთ ალუმინის საჰაერო მილი (არ შედის მიწოდების კომპლექტში) სავენტილაციო ხვრელთან. მილის რეკომენდებული დიამეტრია 120 მმ. გაითვალისწინეთ, რომ საჰაერო მილი არ უნდა იყოს მოღუნული ერთზე მეტ ადგილას. შემდეგ მიაერთეთ გამწოვი მილთან, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.




1



2


3. მიამაგრეთ გამწოვი ნიშას 4 ხრახნით (შედის კომპლექტში).
4. დეკორატიული პანელის დამონტაჟებამდე გაწონასწორეთ განათების ბლოკი განათების მიერთების ღარის მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული პანელის დამაგრებისას გადახრა.
5. დაამონტაჟეთ დეკორატიული პანელი. ბოლოს დაამონტაჟეთ ფილტრი.



მოწყობილობის ექსპლუატაცია

გამწოვის ძრავი მუშაობს მთელი დროის განმავლობაში, სანამ იგი ჩართულია. რეკომენდებულია გამწოვის ჩართვა საკვების მომზადების დაწყებამდე 2–3 წუთით ადრე. გამწოვის საუკეთესო წარმადობისთვის რეკომენდებულია ოთახში ყველა ფანჯრის დახურვა.

მართვის პანელი




1. გამორთვის ღილაკი.
2. სამუშაო სიჩქარეების რეგულირების ღილაკები:
   1) ძრავის მუშაობა დაბალ სიჩქარეზე.
   2) ძრავის მუშაობა საშუალო სიჩქარეზე.
   3) ძრავის მუშაობა მაღალ სიჩქარეზე (რეკომენდებულია ჩართვა შემწვარისას).
3. განათების ჩართვის/გამორთვის ღილაკი.

მომსახურება და მოვლა

გამორთეთ გამწოვი ელექტროქსელიდან წმენდის ან ტექნიკური მომსახურების წინ. რეგულარულად წმინდეთ გამწოვის ზედაპირი. გამოიყენეთ რბილი საპნის ხსნარი ან სარეცხი საშუალება გამწოვის წმენდისთვის. არ გამოიყენოთ აგრესიული ტუტეები ან აბრაზივები, საწმენდი ფხვნილები და ჭურჭლის სარეცხი მანქანის საშუალებები.
ყურადღება: წმენდისას წყალი არ უნდა მოხვდეს ძრავზე, გამომრთველებზე და სხვა ელექტრულ ნაწილებზე.

ფილტრის გაწმენდა

მოცემული ფილტრი გამოიყენება საკვების მომზადებისას ცხიმის ნაწილაკების დასაჭერად. რეკომენდებულია მისი გაწმენდა თვეში არაუმეტეს ერთხელ.
ფილტრის მოსახსნელად ჩააჭირეთ ფიქსატორს, დაუშვით ფილტრი ქვემოთ და ფრთხილად გამოქაჩეთ წინ. გარეცხეთ ფილტრი თხევადი სარეცხი საშუალებით (შესაძლებელია ჭურჭლის სარეცხი მანქანის გამოყენებაც), საფუძვლიანად გააშრეთ და დააყენეთ ადგილზე.
დროთა განმავლობაში ფილტრმა შეიძლება შეიცვალოს ფერი — ეს ნორმალური მოვლენაა და არ საჭიროებს ფილტრის შეცვლას.



სამუშაო სიჩქარის შერჩევა

გამწოვის ეფექტურობა დამოკიდებულია სამუშაო სიჩქარის სწორ შერჩევაზე.
მოცემული გამწოვი აღჭურვილია სამუშაო სიჩქარის სამი რეჟიმით.
მოხარშვისას რეკომენდებულია გამოიყენოთ რეჟიმი 1 ან 2, მომუშავე გამათბობლების რაოდენობის მიხედვით. რეჟიმი 3 გამოიყენება პროდუქტების შეწვისას.

მუშაობის რეჟიმები

ჰაერის გამოტანის რეჟიმი

ჰაერის გამოტანის რეჟიმში ჰაერი გამოიდევნება ოთახიდან გამწოვის სავენტილაციო არხთან შეერთების საშუალებით. ამ რეჟიმში მუშაობისას საჭირო არ არის ნახშირის ფილტრების დაყენება.

რეცირკულაციის რეჟიმი

ამ რეჟიმში ხდება ჰაერის შიდა ცირკულაცია ალუმინის და ნახშირის ფილტრების საშუალებით. გაწმენდილი ჰაერი უბრუნდება ოთახს. სწორი მუშაობისთვის ამ რეჟიმში დაყენებული უნდა იყოს ორივე ფილტრი. ამ რეჟიმში მუშაობისას გამწოვის სავენტილაციო შახტთან დაკავშირება საჭირო არ არის.

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა

გაუმართაობა	მიზეზი	გადაწყვეტა
განათება ირთვება, მაგრამ ძრავი არ მუშაობს	ფრთები დაბლოკილია	მოაშორეთ დაბრკოლება
	კონდენსატორი დაზიანებულია	მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს
	ძრავი დაზიანებულია	
	ძრავის შიდა გაყვანილობა გაწყვეტილია ან გათიშულია. ამასთან შეიძლება გაჩნდეს უსიამოვნო სუნი	
არც განათება და არც ძრავი არ ირთვება	განათების ელემენტი დაზიანებულია	შეცვალეთ განათების ელემენტი
	მოწყობილობა არ არის მიერთებული ელექტროქსელთან	მიაერთეთ მოწყობილობა ელექტროქსელს
ზეთის გაჟონვა	მოწყობილობის გამომყვანი ხვრელისა და სავენტილაციო სისტემის შემომყვანი ხვრელის შეერთების ადგილი არაჰერმეტულია	მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს
	მილისა და კორპუსის შეერთების ადგილას შეიმჩნევა გაჟონვა	
ვიბრაცია	დაზიანებულია ფრთა	მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს
	ძრავი არასანდოდაა დამონტაჟებული	მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს
	გამწოვი არასანდოდაა დამაგრებული	საიმედოდ დაამაგრეთ გამწოვი
ჰაერის არასაკმარისი გაწოვა	მანძილი გამწოვსა და საცხობ ზედაპირს შორის ზედმეტად დიდია	დაარეგულირეთ მანძილი
	ღია კარები ან ფანჯრები უზრუნველყოფენ ზედმეტად აქტიურ ვენტილაციას	დახურეთ რამდენიმე კარი/ფანჯარა ან აირჩიეთ გამწოვის დასამონტაჟებლად სხვა ადგილი
მოწყობილობა გადაიხარა საწყისი მდგომარეობიდან	მოწყობილობის დასაკიდებელი ხრახნები არასაკმარისადაა მოჭერილი	მოაჭერით მოწყობილობის დასაკიდებელი ხრახნები

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობის მონტაჟის წესები და პირობები აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს განყოფილებაში «დამონტაჟება».
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, გათბობადი შენობებში მწარმოებელთან და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურის 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის არაუმეტეს 80%-ის პირობებში. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავების, ტუტეების ორთქლი).
- მოწყობილობის სწორი გადაზიდვის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი მოთხოვნების დაცვა:
    - ამოიღეთ მოწყობილობიდან ყველა შიდა აქსესუარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შეფუთეთ ისინი ცალკე;
    - დარწმუნდით მოწყობილობის შეფუთვის სისწორეში მისი გამართულობისა და გარეგნული სახის შენარჩუნებისთვის (მსხვილგაბარიტიანი ტექნიკა უნდა გაეხვიოს პოლიეთილენის ან ბუშტოვან ფირში, კრიტიკულ ადგილებში ღარისებრი მუყაოს ამოსადებელით);
    - საიმედოდ დააფიქსირეთ მოწყობილობა ღვედებით, რათა გამოირიცხოს მისი გადაადგილება სატრანსპორტო საშუალებაში;
    - გარემოს ზემოქმედების სრულად გამოსარიცხად გამოიყენეთ მხოლოდ დახურული ტრანსპორტი;
    - უზრუნველყავით უკიდურესად ფრთხილი მოპყრობა შეფუთვასთან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულებისას.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას, დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენის, ცეცხლის და სხვათა ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად დაუშვებელია. ამის ნაცვლად იგი ექვემდებარება ჩაბარებას შესაბამის ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების მიღების პუნქტში შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. მოცემული პროდუქტის სწორი უტილიზაციის უზრუნველყოფით თქვენ უწყობთ ხელს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. მოცემული პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელ საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან გადააბაროთ მოწყობილობა უტილიზაციისთვის.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: ცინგდაო სინბან ელექტრონიქ აპლაიენსიზ კო., ლტდ.
ვანფუხეს გზატკეცილი №77, ზონა ხუანდაო, ქ. ცინგდაო, პროვ. შანდუნი, ჩინეთი.

Manufacturer: Qingdao Xingbang Electronic Appliances Co., Ltd.
No.77 Wanfuhe Road, Huangdao Zone, Qingdao City, Shandong Province, P. R. China.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს.
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

საქონელი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი გარეგნული სახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თთ.წწწწ): _____ v.5

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI:

_____

გარანტიაზე აყვანის თარიღი:

_____

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო პერიოდი აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე.
საგარანტიო მომსახურება მოიცავს მომხმარებლის ბრალით არგამოწვეული გაუმართავი ელემენტების უფასო შეკეთებას ან ჩანაცვლებას საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. შეკეთება ან ელემენტების ჩანაცვლება ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 24 თვე.

ექსპლუატაციის ვადა: 120 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქსესუარებზე, რომლებიც შედის ნაწარმის კომპლექტში, თუ მათი ჩანაცვლება არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის.
- შემაერთებელი კაბელები, ანტენები და გადამყვანები მათთვის, ყურსასმენები, მიკროფონები, «HANDS-FREE» მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლები, პროგრამული უზრუნველყოფა (პუ) და დრაივერები, რომლებიც მოწოდებულია კომპლექტში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ დისკზე წინასწარ დაყენებული პუ), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ღვედები, გადასატანი ბაგირები, სამონტაჟო აქსესუარები, ინსტრუმენტები, ნაწარმთან თანდართული დოკუმენტაცია.
- სახარჯო მასალები და დეტალები, რომლებიც ექვემდებარება ბუნებრივ ცვეთას.

მწარმოებელი არ იღებს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურულია საგარანტიო ვადა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, ოჯახური) საჭიროებისთვის, გამოყენებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის პირდაპირ დანიშნულებას.
- მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი შესაძლო მატერიალურ, მორალურ ან სხვა ზიანზე, რომელიც მიადგა ნაწარმის მფლობელს და/ან მესამე პირებს, მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევის შედეგად გამოყენებისას, მონტაჟისა და მომსახურების რეკომენდაციების დაუცველობისას, მიერთების წესების დარღვევისას (მოკლე ჩართვები, მათ შორის შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი, როგორც თავად ნაწარმზე, ასევე მასთან დაკავშირებულ ნაწარმზე), შენახვისა და გადაზიდვის დროს.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ნაკაწრები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმების კვალი, ჩაზნექილობები, დაზიანებები და სხვა, მიღებული ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- არსებობს გარეშე მოდიფიკაციის, არაუფლებამოსილი პირების მიერ ასეთი სამუშაოების ჩატარებისთვის არასანქცირებული შეკეთების კვალი. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის ცვლილებით, იმ გარე მოწყობილობების მიერთებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მწარმოებლის მიერ, ისეთი მოწყობილობის გამოყენებით, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სერტიფიკატი.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით (სტიქიური მოვლენები, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, საყოფაცხოვრებო ფაქტორები და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მწარმოებელზე), ან მესამე პირთა ქმედებებით, რომელთა განჭვრეტა მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი გაუმართაობა.
- არ არსებობს ან არ შეესაბამება ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი). თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობა, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პუ-ს მომწოდებლის მიერ ამ სერვისის მიწოდების არარსებობის გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების, რადიოსიგნალის სიმძლავრის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის გამოყენებისას ქსელის საზღვარზე ან მოქმედების ზონის გარეთ.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან დაბალხარისხოვანი (დაზიანებული) სახარჯო მასალების, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლების გამოყენებით (მათ შორის CD, DVD დისკები, მეხსიერების ბარათები, SIM-ბარათები, კარტრიჯები).
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მსგავსი პროგრამები) მიღებით, დაყენებით და გამოყენებით.
- სხვა მოწყობილობისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც მუშაობს ამ ნაწარმთან ურთიერთკავშირში.

შენიშვნებისთვის

